აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

23 ივლისი, 2022

დადგენილება№ 69(21/22)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 12 ივლისის #65(21/22) დადგენილებაში რიგი პუნქტების გაუქმების შესახებ

აკადემიურ საბჭოს მომართა ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა. მომართვის მიხედვით, ფაკულტეტი ითხოვს უნივერსიტეტში გამოცხადებული კონკურის მონაცემებში ცვლილებების შეტანას, კერძოდ, ნაცვლად ასისტენტ-პროფესორის 2 ვაკანსიისა, კონკურსი უნდა გამოცხადდეს ასოცირებული პროფესორის 2 ვაკანსიაზე. ეს შეეხება მენეჯმენტის ქვემიმართულებას. აკადემიური საბჭო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ზოგადი ადმინისტაციული კოდექსისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების შესაბამისად, **უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ბათილად იქნეს ცნობილი აკადემიური საბჭოს 12 ივლისის #65(21/22) დადგენილების II.2.2. პუნქტი.
2. მიეცეს რეკომენდაცია უნივერსიტეტის რექტორს დადგენილი წესით გამოაცხადოს კონკურსი ასოცირებული პროფესორის ორ საშტატო ერთეულზე მენეჯმენტის ქვემიმართულებით.
3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ზემოაღნიშნული არ იწვევს ცვლილებებს და დამატებებს უნივერსიტეტის საშტატო განრიგში.
4. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი